რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 27 იანვარი 1918 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгiевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები—რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 21 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 21

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

### ყოველ დღიურ გაზეთებზე

### „ბრძოლა", „კავკაზსკი რაბოჩი" და „ბანვორი კრივ"-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე" ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს 24 მან., ნახევარი წლით—12 მან., ერთი თვით—2 მან.

ტეხნიკური მიზეზების გამო გუშინდელი და დღევანდელი „ბრძოლა" გამოდის ნახევარ ფურცლათ. ხვალ-კი სრული ნომერი გამოვა.

## საბოლოვო გამარჯვება.

რუსეთის ცენტრალურმა მთავრობამ კავკასიაში თავის საგანგებო კომისარათ დანიშნა ამხ. შაუმიანი. საგანგებო კომისარი რუსეთის საბჭოების მთავრობის წარმომადგენელია. როგორც კი განმტკიცდება კავკასიაში ადგილობრივი საბჭოების ძალა-უფლება, საგანგებო კომისარიც ზედმეტი შეიქნება; მანამდე კი ის ვალდებულია ყოველ მხრივათ ხელი შეუწყოს საბჭოების ძალა-უფლების დამყარებას.

ცხადია, ვინც უარყოფს რუსეთისთვის საბჭოების ძალა-უფლებას, ის არ მოისურვებს მას კავკასიისთვისაც. ვინც რუსეთის საბჭოების მთავრობას ებრძოდა და კალედინს მხარს ტჭერდა, უეჭველათ შეებრძოლება შაუმიანსაც. აქ ბრძოლა აუცილებელია და ჩვენ ნათლათ უნდა გავარკვიოთ ამ ბრძოლის ხასიათი.

საბჭოების ძალა-უფლება ნიშნავს მშრომელი ხალხის ბატონობას. საბჭოები სამნაირია: მუშების, გლეხების და სალდათების. ყველა ეგენი მშრომელი ხალხია. ესენი არჩენენ თავისი მარჯვენით მთელ ქვეყანას, ესენი იცავენ მას იარაღით ხელში. ამათ გარდა ყველა სხვა მუქთახორაა, სხვისი ოფლის მიმთვისებელია, მშრომელის მარჯვენის მომჭრელია, ან და ამ მუქთახორათა ნასუფრალის და ნამცეცების შემყურეა. საბჭოებში ირაზმება მთელი მშრომელი ხალხი, მათ გარეთ თავს იყრის მუქთა-ხორათა ბანაკი. გაუმარჯოს საბჭოებს, იძახის მშრომელი ხალხი, ძირს საბჭოები, იძახის მუქთა-ხორათა რაზმი. რუსეთში საბჭოებმა ჩაიგდეს ძალა-უფლება ხელში და მით ქვეყნის მარჩენალი მშრომელი ხალხი ქვეყნის ბატონ-პატრონათ გამოაცხადეს. მათ წინააღმდეგ აღსდგენ ქვეყნის მუქთა-ხორები და მოინდომეს საბჭოების დამხობა. გაჩაღდა ბრძოლა.

მშრომელმა ხალხმა სძლია თავის მტრებს და მთელ რუსეთში დაამყარა და განამტკიცა საბჭოების ძალა-უფლება. დარჩა მხოლოთ კავკასია, როგორც ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ადგილი. აქ კონტრ-რევოლიუციონერმა კალედინმა კარგა ხანს შეაფარა თავი, მაგრამ მისი დღეები დათვლილია, დღეს არა ხვალ მთელი ჩრდილოეთ-კავკასია განთავისუფლდება ამ ავაზაკის თარეშიდან და იქ დამყარდება საბჭოების ძალა-უფლება. ეს დღესავით ნათელია.

მაგრამ ამიერ-კავკასია მაინც ეურჩება საბჭოების ძალა-უფლებას და აქ გაბატონებულ მენშევიკ-ესერების სახით ცდილობს ბურჟუაზია გაბატონოს. ისინი თვით არიან საბჭოებში, მაგრამ მაინც არ უნდათ საბჭოების მთავრობა შეადგინონ. ისინი ამჯობინებენ საბჭოების გარეთ თათრის ბეგებთან და სომეხ-ქართველ შოვინისტებთან შეადგინონ მთავრობა და საბჭოები კი სეირის მაყურებლათ დასტოვონ. ასეთი იყო მათი მოღვაწეობა წარსულში, ასეთი იქნება მომავალშიაც.

მაშასადამე, საბჭოების მთავრობა მშრომელი ხალხის მთავრობაა, სხვანაირათ შედგენილი მთავრობა კი უეჭველათ გაბატონებული კლასების იარაღი იქნება, სულ ერთია სეიმიდან წარმოიშობება იგი, თუ ნაციონალური საბჭოებიდან.

დღეს, როდესაც რუსეთში უკვე განმტკიცდა საბჭოების ძალა-უფლება, დგება პრაკტიკული საკითხი—რა გზას უნდა დაადგეს კავკასია. აყვება ის კიდევ ბურჟუაზიის ბატონობის მოტრფიალე მენშევიკ-ესერებს, თუ მხარს დაუჭერს რუსეთის მშრომელ ხალხს და მისი მაგალითისამებრ აქაც განახორციელებს საბჭოების ძალა-უფლებას.

რა თქმა უნდა, ამის განხორციელება უბრძოლველათ არ შეიძლება. მენშევიკ-ესერები ბურჟუაზიის მოყვრობას არ დასთმობენ; მასთან ერთათ მშრომელ ხალხზე ბატონობას არ შეელევიან. მაგრამ მშრომელმა ხალხმა უნდა გადალახოს ყოველივე დამაბრკოლებელი მიზეზები და შეუერთდეს თავის მოძმე რუსეთის მშრომელ ხალხს, რომელიც უკვე დღესასწაულობს თავის გამარჯვებას და თვით შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს კავკასიის მშრომელთ.

კავკასიის მშრომელი ხალხი მენშევიკ-ესერებმა დიდი ხნით დააშორეს რუსეთის პროლეტარიატს და იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი მარტო ეწეოდა თავის მძიმე უღელს და ძალა-უფლებით იმოსებოდა, აქ ძალა-უფლება ჩაიგდეს ნაციონალისტებმა და გაბატონებულმა კლასებმა. ამის გამო შეიქნა აუტანელი მდგომარეობა. უპურობა, უფულობა, ცარცვა-გლეჯა, უმიზნო სისხლის ღვრა და ანარქია—აი რა შედეგი მოყვა რუსეთის პროლეტარიატთან კავშირის გაწყვეტას. ყველა ამას ზედ დაერთო ნაციონალური შუღლის გაღვივება, რომელიც განადგურებას უქადის მთელ ქვეყანას. გზა ხსნისა აქედან მხოლოთ ერთათ ერთია: რევოლიუციონური ბრძოლის გაღვივება, რუსეთის პროლეტარიატთან კავშირის შეკვრა და ადგილობრივათ ძალა-უფლების საბჭოების ხელში გადაცემა.

ამ საქმეს ემსახურება რუსეთის ცენტრალური მთავრობა და კავკასიაში მისი საგანგებო კომისარი ამხ. შაუმიანი. ეს გულზე ლახვრათ ესობა ყველა მათ, ვისაც არ უნდა, რომ ძალა-უფლება მშრომელი ხალხის ხელში იყოს, მაგრამ საბოლოვოთ გაიმარჯვებს მშრომელი ხალხი და ის აქაც დაამყარებს საბჭოების ძალა-უფლებას.

## კარიკატურა.

თბილ. მუშათა სექციის კრებაზე, ბ.ბ. თევზაიამ ზავზე მოხსენება გააკეთა. თუმცა მთელი მისი მოხსენება კარიკატურა იყო, მაგრამ რამოდენიმე დიდ კარიკატურულ ფაქტებზე მინდა შევჩერდე და მასთან „ერთობის" № 12-ს იმავე ხარისხის კარიკატურაც აღვნიშნო.

კარიკატურა პირველი: „როცა ოსმალეთის რწმუნებულები შეგვეკითხენ; თქვენ რომელი მთავრობის სახელით ლაპარაკობთო, —ჩვენ ერთხანს ვერაფერი უთხარით. გვეთქვა, რომ რუსეთის ცენტრალური მთავრობის მონდობილობით მოგმართავთ თქო, არ იყო მართალი. ვიფიქრეთ და შემდეგ ვუპასუხეთ: კავკასიის დემოკრატიისა და მომქმედი ჯარის სახელით მოგმართავთ-თქო.

კარიკატურა მეორე: „იცით თქვენ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკების შინაარსი და დადგენილებანი? ჩვენც მას მივიღებთ, რასაც ისინი გადასწყვეტენო". —ჩვენ აქ ვაღიარეთ, რომ არ ვიცით!.. მაგრამ ჩვენც იმას მივიღებთ რასაც რუსეთის რესპუბლიკა გადასწყვეტსო"!..

კარიკატურა მესამე: „ვის უფლებაშია, ან ვის კამანდას ემორჩილება შავი ზღვის ფლოტი"? შეგვეკითხენ თათრები.—ჩვენთვის ეს აუცილებელია ვიცოდეთ სამხედრო მოლაპარაკებისა და ზავის დროსო!..—ჩვენ აღარ ვიცოდით რა გვეთქვა... დიდი ფიქრის შემდეგ ვუპასუხეთ, რომ ეს ფლოტი საზოგადო კამანდას ემორჩილება-თქო. კმარა! ეს კარიკატურები მარტო თევზაიას როდი ეკუთვნის, არამედ თვით მის იქ გამოგზავნის საკუთრებას შეადგენს.

ვინ ვერ ხედავს ნათლათ ამ ტყუილებს ოსმალეთის დიპლომატიის წინაშე, კავკასიის მთავრობის მიერ ჩადენილს! ეს სიცრუე ბ. თევზაიას და მის კოლეგებს მარტო როდი ეკუთვნის! ეს სიცრუე თბილისში არსებულ ყალბი და ცრუ მთავრობის სრული საკუთრებაა. ბ. თევზაია იგონებდა თვის თავგადასავალს, ოსმალეთთან ზავზე მოლაპარაკების პროცესს გაზ. „ერთობაში", მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს კარიკატურები კი სრულიად დაუმალა საზოგადოებას. მის მოგონებებში დამტვრეული ავტომობილის ტალახში გაჩერება, ანდა საუზმეებისა და სადილების ამბები უფროა მოთხრობილი, ვიდრე სინამდვილე და ზავის საქმე. ჩვენ ასედაც მოველოდით, რომ მენშევიკები სინამდვილეს არასოდესაც არ გაიმეტებდენ მკითხველებისათვის, მაგრამ ერთი რამ მაინც მეტად საინტერესო და მასთან სასაცილოცაა. მას შემდეგ, რაც ოქტომბრის ძლევა-მოსილმა პროლეტარულმა რევოლიუციამ რუსეთის ფრონტებზე სისხლის ღვრას ბოლო მოუღო, გაზ. „ერთობა" თავიდანვე ჩვენს საზავო მოლაპარაკებას „სამარცხვინო ზავს" უწოდებდა და ვილგელმის ამხანაგებათ გვნათლავდენ; ამას გვიწუნებდენ ჩვენი მენშევიკები და ამავე დროს თვითონ კი, ეს „რევოლიუციონური მთავრობა" ოსმალეთის ოფიციალურ დიპლომატებთან ზავზე მოლაპარაკებას აწყობენ და თვით ამ დიპლომატების ხაფანგში ებმებიან თავიანთი ტყუილებით. აი თურმე რას ნიშნავს მთლიანობის დარღვევა!.. მაგრამ განა, ეს გაკვეთილები ეყოფათ მათ ჭკვის სასწავლათ? წაიკითხეთ გაზ. „ერთობის" მე 12 №. აქ ნახავთ იმავე კარიკატურებს, მხოლოთ სხვა ფორმით... ნახეთ მოწინავე წერილი. ნახეთ ვიღაც კ. კილაძის ლოღიკა და ჩაყევით ქვევით გაზ. „ერ-

თობას". ნუთუ კითხვის დროსა მწარეთ არ გაგეცინებათ? რას ბოდავს, რას არ სწერს ეს კავკასიის შემთანხმეალების ორგანო.

პირველათ ვერ ბედავს გაზეთი ვერც მიწისა და ვერც ფედერატიული რესპუბლიკის დეკრეტებზე რაიმეს თქმას, რადგანაც აქ უთუოდ საგრძნობლათ წაიტეხდა ფეხს. სამშვიდობო კონფერენციის კანონზე კი აჩერებს მკითხველის ყურადღებას, არც კი წითლდება, როცა ასეთებს მოუთხრობს მკითხველებს: ვინ არ იცის რომ რუსეთის მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა მსოფლიო ომის წინააღმდეგია მის მოსპობის გარშემო კარგა ხანი იბრძოდა". ავტორი ანუ რედაქცია რომ შეკითხოდა თავს თუ ვინ იბრძოდა კარგა ხანია იმ მოქალაქეთა უმრავლესობასთან ომისა და რევოლიუციის დროს, გაწითლდებოდა და ხსენებულ წერილში აღარ იტყოდა, რომ ბოლშევიკები სტოკჰოლმის შეიდემან-პლეხანოვ-ობორონცების კონფერენციას არ დაესწრენ, დანაშაული ჩაიდინეს და ვილჰელმის აგენტებთან" კი დაიწყეს ხაზზე მოლაპარაკებაო, ანდა კიდევ ასეთს, რომ ბოლშევიკები აგიტაციის წყალობით გაქტვლდა დასავლეთის და აღმოსავლეთის ფრონტიო. დღეს მაინც კიდ დრო, მიხვდეს ეს საცოდავი, ცოცხლათ დამარხული გაზეთი, რომ ბოლშევიკების აგიტაციის წყალობით დასავლეთის ფრონტი მთლიანათ სდგას, მხოლოდ თფილისის ეროვნული საბჭოებისა და კომისარიატის საქმიანობით და მოღვაწეობით აღმოსავლეთით კალედინ-კორნილოვები დათარეშობენ თავისუფლათ და ფრონტიც გაცალიერდა მათი მოწოდებების საშუალებით. რუსეთის ცენტრალურ მთავრობას მოსწყვიტეს კავკასია, მისი წყალობით ათასგვარ სენსაციურ ჭორებს აქვს ადგილი, რაც ასე აძლიერებს ბნელ ძალებს და კონტრ-რევოლიუციას, რასაც ასე დაუყოვნებლივ ბეჭდავს და ავრცელებს ობორონცული გაზეთები. ყველა ამის შემდეგ ვიღაც კილაძეს ყოფნის გამბედაობა სთქვას, რომ „ბოლშევიკებმა ომი გამოუცხადეს უკრაინას, კავკასიას, რომ მათ შეიდემანები, ავქსენტიევები და თუ გნებავთ ჩხეიძე-წერეთელ-სკობელევები, გაბედეს და რევოლიუციის მოღალატეებათ დასახეს. არა ბატონო კილაძევ, და კილაძეების „ერთობავ" ბოლშევიკებმა უკრაინას კი არ გაუცხადეს ომი, არამედ უკრაინის ბურჟუაზიულ რადას, რომელმაც კლემანსოს და კალედინის მთავრობასთან გააბა კავშირი. მათ უკრაინის ხალხური უფლება აღადგინეს მშრომელთა საბჭოების სახით. დათუ ეს კილაძეებმა არ იციან ამდენხანს, გაზ. „ერთობამ" მაინც უნდა იცოდეს, მაგრამ სად არის სირცხვილი!

„პროლეტარიატი თანდათან ირკვევა ანარქისტულ ბოლშევიკურ ბურუსიდან და გადადის სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიაში". ბრძანებს კილაძე. მერე რომელი წყაროებით და მასალებით ხელმძღვანელობით თქვენ საბრალოებო? სად გაიგეთ? ვის გინდათ თვალი აუხვიოთ ამით? მართლაც რომ მუშათა კლასი თანდათან ერკვევა თქვენი ბურუსიდან და ბრმათ აღარ მოგყვებიან თქვენ. ამას ამტკიცებს ჩვენი „არა ბოლშევიკის" და ყოფილი მენშევიკ მუშების წერილები. ვის აბრმავებთ? მაგრამ სიკვდილის ჟამს, ან გაკოტრების დროს „ერთი მოთქმა-ტირილი და ვაიოხვრა თქვენც გერგებათ. ეს თქვენი სიცრუით სავსე წერილები ამ სასოწარკვეთილებას მოთქმასა და ოხვრა-კვნესას ნიშნავს. იტირეთ! გამოიტირეთ თქვენი შეცდომები...

გ. მარ—სტი.

---

## სოფტა რამ ლანჩხუთელ მენშევიკებზე.

5 იანვარს პეტროგრადში, დამფუძნებელ კრების სასარგებლოთ გამართულ მანიფესტაციების დროს მოკლულ იქნა ლანჩხუთის მცხოვრები, ალექსანდრე ცინცაძე, პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი.

განსვენებულის ხსოვნის პატივსაცემლათ ადგილობრივ მენშევიკების ხელმძღვანელ კოლექტივმა გადასწყვიტა გაეხადა სამოქალაქო პანაშვიდი. წითელი დროშებით და სამგლოვიარო მარშის გალობით ხალხმა თავი მოიყარა განსვენებულის ოჯახში. ილაპარაკეს აქაურ მენშევიკების ლიდერებმა პირველი ორატორის (კოლია წილოსანი) პირველ სიტყვებშივე ცხადი შეიქნა, თუ რა მიზნით ხალხს, თავი მის სულ-ბედის გამგეებმა. ეს იყო მიტინგი, სადაც ამ ვაჟბატონებმა თავისებური სიცრუით და ორპირობით ერთხელ კიდევ მოისურვეს აეხვიათ ხალხისთვის თვალი. დაემახინჯებინათ ფაქტები და ყველა ეს სწორეთ იმ ხალხის წინაშე, რომლის ინტერესებისათვის ბრძოლა თავის მონოპოლიათ აღიარეს! განა უსინიდისო პროვოკაცია არ არის კოლია წილოსანის სიტყვები: „დიახ, ლენინის გამოსროლილმა ტყვიამ მოჰკლა ისო!"

მეორე ორატორი, კალე ქლენტი, სცდილობდა დაემტკიცებინა მსმენელთათვის, რომ ის ბრძოლა, რომლის მსხვერპლი შეიქნა ალექსანდრე, არ იყო ბრძოლა ბურჟუაზიას და პროლეტარიატს შორის, არამედ თვით დემოკრატიის შორისო. ფარისეველნო და მწიგნობარნო! დადგება დრო და დაინახავს მშრომელი ხალხი აქაც ისე, როგორც უკვე დაინახა რუსეთში, თუ რა რიგ უსირცხვილოთ უმალავთ თქვენ მას სიმართლეს. მოვა დრო და ქართველი ხალხიც შეიგნებს, რომ ის ბრძოლა რომლის მოწამენი ვართ ჩვენ დღეს რუსეთში, არის ბრძოლა სამკვდრო სასიცოცხლო ბურჟუაზიას და პროლეტარიატს შორის, მყვლეფელთა და გამყვლეფელთა შორის. დიახ, რაც უნდა ეცადოთ თქვენ, ბატონებო, რა სახელიც არ უნდა უწოდოთ იმ პარტიას, რომლის ხელმძღვანელობითაც დღეს რუსეთის მშრომელი ხალხი იბრძვის სოციალიზმისთვის, ქართველი მშრომელიც ადრე თუ გვიან მაინც გაიგებს, თუ ვისკენაა სიმართლე: ვინ იბრძვის დაჩაგრულთა ინტერესებისთვის და ვინაა მათი მტერი. ქლენტმა სხვათა შორის სთქვა:

„ერთი ჯგუფის მეთაურობით დემოკრატიის შეუძლებელმა ნაწილმა გარეკა ხალხის უმრავლესობის ნება სურვილის გამომხატველი დამფუძნებელი კრებაო..

„უსუსურნო! ვისი სახელით და ან რომელ უმრავლესობაზე ლაპარაკობთ თქვენ? სად არის პროლეტარიატი, რომლის მებაირახდრეთ თქვენ გამოდიხართ? მან უკვე სულთათანა გიგალობათ თქვენ, მან შესაფერი მსჯავრი დასდო თქვენს ორპოფობას, წაჯექ უკუჯექობის. თუ დამფუძნებელი კრება იყო გამომხატველი მშრომელ ხალხის ნება სურვილის, რატომ უარყო მან „დაჩაგრულ მშრომელ ხალხის უფლებათა დეკლარაცია?"

ხალხი კი სდუმდა... უნებლიეთ მომაგონდა პუშკინის დრამის უკანასკნელი სიტყვები.. სასოწარკვეთილებამ შემიპყრო: ნუთუ ამდენ ხალხში არ მოიპოვება ერთი ვინმე ისეთი, რომ გაბედულათ გაარღვიოს ეს ბნელი ბურუსი და ხალხს სწორი გზა უჩვენოს მეთქი?! მაგრამ აი, ტრიბუნაზედ ადის ამხ. ვანო ასკურავა. მან მოკლეთ დაახასიათა განსვენებულის პიროვნება, როგორც ადამიანის და სთქვა: მე ვალდებული ვარ შესწორება შევიტანო წინეთ მოლაპარაკე ორატორის სიტყვებში ბრძოლა იყო, მოქალაქენო, ბურჟუაზიას და პროლეტარიატს შორის; ალექსანდრეც მოკლულ იქნა ამ ბრძოლაში, როგორც პროლეტარიატის იდეებისთვის მებრძოლი.

ჩვენ, იქ მყოფნი მისი თანამოაზრეები უღრმეს მადლობას ვუძღვნით ამხ. ვანოს მის მოკლეა მაგრამ შინაარსიან სიტყვისთვის, რითაც მან შესძლო დაენახვებინა ხალხისთვის, თუ როგორი საზიზღარი ტყუილებით უმასპინძლდებიან მას მენშევიკები.

დასარულ ნებას მივსცემ ჩემ თავს შევეკითხო ლანჩხუთის მენშევიკთა კოლექტივს: საიდან იციან მათ, რომ განსვენებული მათ მსოფლ მხედველობას იზიარებდა?

პირიქით, კერძო წყაროებიდან ჩვენ ვიცით, რომ ის სწორეთ იმათ რაზმში იყო, ვისაც ბ-ნი ქლენტი მოღალატეებს და ნიკოლოზის აგენტებს ეძახის. და თუ მათ არა აქვთ პირისუფლობა, უარყონ იმ ადამიანს, რომელიც მათი მოწინააღმდეგე იყო? სხვის მონასტერში თავის წესდება რათ შეაქვთ?

კ ო ლ ი ა ე ბ რ ა ლ ი ძ ე.

---

## მუშათა წერილები.

### თ ფ ი ლ ი ს ი.

საზოგადოთ მუშები ყოველთვის და ყოველგან კრიტიკულ მდგომარეობით იმყოფებოდენ, მაგრამ ამ საქონლის სადგურისთანა უმწეო მდგომარეობაში არ ვიცი, რომ რომელიმე დარგის მუშები იმყოფებოდენ. ჯერ არის და ყოვლად მცირე ჯამაგირს იღებენ, (იმასაც თავის დროზე არ ღირსებენ მუშებს) და მერმეთ თუ კი ვინმემ გაბედა და დაიწყო ჯამაგირის მომატებაზე ლაპარაკი და თავის დროზე ჯამაგირის დარიგებაზე. იმას ხელად წინ აღუდგებიან აქაური „კუდა ბზიკა" კომიტეტი, რომლებიც შესდგებიან მენშევიკებიდან. პირველზე ასეთ პასუხს იძლევიან: „ჩვენ რომ ჯამაგირი მოგვემატოს, რევოლიუცია დაიღუპებაო". მეორეზე კი ირონიულათ გვიპასუხებენ: ლენინის გამოგზავნილი ფულები ვერ მიიღეთ ჯერ და რა მოგცეთო", მკითხველს გაუკვირდებათ, რისთვის ის კომიტეტები ეწინააღმდეგებიან თავიანთი პირობების გაუმჯობესობას, განა ისინი მუშები არ შესდგებიანო? მაგრამ საქმე იმაშია, რომ მათ ე. ი. კომიტეტებს თავის თავათ მომატებული ქონიათ ჯამაგირი, მაგალითად მუშები თუ ღებულობენ 138 მანეთს, იმათ კი 240 მანეთზე ადის ჯამაგირი, ზედ მეტი საათების მიწერით. და ასეთი მაგათი ავანტიურისტული მოქმედება, ყველა მუშებმა გაიგონ და დარწმუნდენ, რომ მაგენი არიან მარტო „კუპესტები" და სხვა არაფერი. ამისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს აქაური ადგილობრივი კომიტეტების რეორგანიზაცია და მათ ადგილას ისეთი პირების არჩევა, რომლებიც ნამდვილ მუშათა ინტერესებს დაიცავენ.

ს. ფარცხმელი.

---

## პროვინციის ცხოვრება.

ს. შ უ ბ ა ნ ი. (გურია) ეს სოფელი განსაკუთრებულია სხვა სოფლებს შორის. მისი მდებარეობა ერთი შეხედვისთანავე თვალ წინ გიშლის და გვიხატავს ბახმაროს მდებარეობას. აღსანიშნავია ის რომ ასეთი ბუნებრივი სიმდიდრე დამშვენებულია კულტურული სიმდიდრითაც. აქვე უკვე ერთი წელია, რაც არსებობს მომხ. საზ. „ღარიბთა იმედი" მიუხედავათ მოკლე ხნის არსებობისა, დუქნის წარმოება დღითი დღე ფართოვდება. აქვე არსებობს ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა, სადაც მეცადინეობა კარგ ნიადაგზეა დამყარებული და ყოველ წელს სწავლა ნორმალურათ იწყება. ამ დრომდის აქ სამკითხველო თუმცა ფაქტიურათ არ არსებობდა, მაგრამ კოოპერატიულ დუქანს მაინც მოსდიოდა სხვა და სხვა გაზეთები. ახლა ადგილობრივი მოწინავე პირების ინიციატივით დაარსდა „წიგნთ-საცავ სამკითხველო", მხოლოთ იგი ძლიერ ღარიბია. ამიტომ იმ ამხანაგებს, რომელიც მოტფიალენია ასეთი კულტურული დაწესებულებიც, ადგ. მცხოვრებლებს, რომელიც სხვა და სხვა ქალაქებში იმყოფებიან, ვსთხოვთ რომ სამკითხველოს დახმარება გაუწიონ, რითაც შეუძლიათ: ფულის მოგროვებით. წიგნებით, გაზეთებით და სხვ.

მოწოდება შეიძლება ამ მისამართით: м. Чохатауры с. Шубани, Никалаю Мгалоблишвили.

სამზრუნველო.

---

## ფონდი.

გთხოვთ ამხანაგო რედაქტორო მიიღოთ შემოწირულება წიფნაგვარა პაიჭისოული ჯგუფიდან და დაბეჭდოთ შემომწირველთა სია თქვენს პატივცემულ გაზეთის ფურცელზე.

სამ სამი მანეთი: თ. სიხარულიძე, ა. ლომთათიძე და მ. ფოცხიშვილისა. ორორი მანეთი: ო. ფოცხიშვილისა, ა. სიხარულიძე, ლ. სუმბერთულაძე. მანეთნახევარი: ყ. ქერქაძე, ე. ქერქაძისა. თითო მანეთი: დ. ფიცხიშვილი, ი. ლომთათიძე, გ. ლომთათიძე, ა. ლომთათიძე, ნ. ლომთათიძე, დ. ქერქაძე, ა. ფოცხიშვილისა, დ. კალანდაძე. დ. სიხარულიძისა, ა. ლომთათიძე. პ. ფოცხიშვილმა 50 კ. სულ 28 მ. 50 კ.

ჯგუფის მონდ. თედორე სიხარულიძე და ილარიონ ლომთათიძე.

---

## განცხადებები.

1 რაიონის რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკების) თფილისის ორგანიზაციის კომიტეტი კვირას, 28 იანვარს დილის 10 საათზე, კინემატოგრაფის თეატრში (აპოლოში) რუსულ ენაზე გამართავს

### ორ ლექსიას.

1. დამფუძნებელი კრება და რესპუბლიკა საბჭოებისა წაიკითხავს ამხ. ფ. მახარაძე.

2. რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია კავკასიაში—ამხ. რამანოვი.

შესასვლელი ბილეთის 60 კ. სალდათებისთვის 30 კ. ბილეთები იყიდება ბიუროში ჩერქეზოვის ქ. № 135 საღამოს 5—8 საათამდე.

---

25 იანვარს საღამოს 7 ს. საბჭოს დარბაზში პ.-დიდის ქ. № 18 დანიშნულია პროფ. კავშირის „ნემსის პროლეტარების" დელეგატთა კრება. სავალდებულოა ყველა დელეგატთა დასწრება.

---

კავშირის „ნემსის პროლეტარების" გამგეობა აუწყებს ამხანაგებს, რომ ფირმების აგაბელოვის (მიხ. ქ.) და შეიმენის (გოლოვ. პრ.) გაფიცვის გამო გამოცხადებულია ბოიკოტს ქვეშ.

---

კვირას, 28 იანვარს, დილის 10 საათზე შესდგება ტყავეულობაზე მომუშავეთა საერთო კრება. მიხეილის ქ. № 91 ვერის პოლიტიკურ კლუბის დარბაზში. რადგან აუცილებელი კითხვებია გასარჩევი, გამგეობა სთხოვს კავშირის წევრებს აუცილებლათ დაესწრონ.